საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030173993393516

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/69263 **12 / სექტემბერი / 2016 წ.**

ფაქტ მეტრის რეგიონალურ ანალიტიკოსს ქალბატონ ირმა ბახუტაშვილს

ქალბატონო ირმა,

მიმდინარე წლის 6 სექტემბრის თქვენი N92060 განცხადების პასუხად, სადაც მოთხოვნილია ინფორმაცია სოციალური საცხოვრისების შესახებ, გაცნობებთ შემდეგს:

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციებსა და უფლება-მოვალეობებს, სხვა საკითხებთან ერთად, მიეკუთვნება უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა, ასევე, თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციის წარმოება. ამასთან, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია. ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

შესაბამისად, არ ვფლობთ ამომწურავ ინფორმაციას ქვეყნის მასშტაბით უსახლკაროთათვის განკუთვნილი თავშესაფრების/სოციალური საცხოვრისებისა და მათი დაფინანსების შესახებ.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია 2009 წლიდან დღემდე შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით სოციალური საცხოვრისები აშენდა რამდენიმე მუნიციპალიტეტში: თბილისში, ბათუმში, რუსთავში, ბოლნისში, ქუთაისში, გორში.

გარდა ამისა, ჩვენი ინფორმაციით სოციალური საცხოვრისები განთავსებულია ზუგდიდის, ოზურგეთის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი — სოფიო უმიკაშვილი